4:1 საკმარისი უნდა იყოს

ახლა თვით განვლილი მატჩის შესახებ, მართალია, თბილისელებმა შეხვედრა დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს და ბოლო ხანებში ტრადიციად ქცეული 4 გოლი გაიტანეს, თამაში ძნელი არ იყო. პირიქით, დროდადრო მდგომარეობა ძალიან იძაბებოდა. სტუმრებს არც შეუპოვრობა აკლდათ, არც ოსტატობა და სპორტული ჟინი. მე რაღაც არ მჯერა "სლავიას" მწვრთნელისა, რომელმაც მატჩის დამთავრების შემდეგ განაცხადა: ჩვენმა გუნდმა ძალიან სუსტად ითამაშა და საკუთარ თავს არ ჰგავდაო. დ. ტაშოვის საყვედური "სლავიას" თავდამსხმელებისამდი, რომლებიც გადამწყვეტ მომენტებში ვერ სძლევდნენ "დინამოს" მცველთა წინააღმდეგობას საჯარიმო მოედანზე, შეიძლება სამართლიანიცაა, მაგრამ ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ ჩვენი სტუმრები "თავიანთ თავს არ ჰგავდნენ", რაც მთავარია, დინამოელთა მცველები იდგნენ საჭირო სიმაღლეზე. იბრძოდნენ თავგამოდებით და თავიანთ მეკარემდე რ მიჰყავდათ საქმე. ებრალიძე, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი. სწორად მოქმედებდნენ ურთიერთდაზღვევისას, თავისუფალი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდნენ ბულგარელ თავდამსხმელებს და, ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში შეტევაშიც მონაწილეობდნენ. ეს განსაკუთრებით ებრალიძეს ეხება.

ბრძოლის უმთავრესი სიმძიმე მინდვრის შუაგულს აწევს, სადაც "სლავიას" დიდი ძალები ჰყავდა თავმოყრილი. იმ საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას, რომელიც სტუმრებს დროდადრო ჰქონდათ, ისინი სწორედ ამ ზონაში აქტიური თამაშით აღწევდნენ აქედან გამომდინარე, ასათიანს, გავაშელს და მაჩაიძეს დამსახურებად უნდა ჩავუთვალოთ ის, რომ წარმატებით გაართვეს თავი ასეთ მძიმე დატვირთვას, შეძლეს არ შეენელებინათ გუნდის საერთო იერიშები.

ვერც წინა ხაზის მოთამაშეებზე ვიტყვით საყვედურს. გუცაევი აშკარად სჯობდა თავის უშუალო მეურვეს ეფთიმოვს და გოლის გატანისთვის რამდენიმეჯერ ხელსაყრელი ვითარებაც შექმნა, ხოლო ძმები ნოდიების შეთანხმებულმა კომბინაციებმა გადაუჭრელი სიძნელეების წინაშე დააყენა "სლავიას" დაცვა.

განსაკუთრებით კარგი იყო მატჩის დასაწყისი. თბილისელებმა პირველ წუთებში უკიდურესად მაღალი ტემპი განავითარეს, მთელი ძალებით შეუტიეს და უკვე მე–4

წუთზე გახსნეს ანგარიში. გუცაევმა და ებრალიძემ მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს ბურთი. იქ ბულგარელთა ერთ–ერთმა მცველმა შეცდომა დაუშვა და გ. ნოდია პირისპირ აღმოჩნდა ცოლოვთან. თავდამსხმელმა მშვიდად გამოზომილად დაარტყა ბურთი – 1:0.

დაახლოებით 15–20 წუთის განმავლობაში თბილისელები მდგომარეობის ბატონ–პატრონი იყვნენ, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. სტუმრებმა დიდი გაჭირვებით გადაიტანეს ეს შეტევა და თანდათან, მეთოდურად გამოასწორეს თამაში. ისინი განუწყვეტლივ მოძრაობდნენ, კარგად იხსნებოდნენ, თითქმის არ კარგავდნენ ბურთს გადაცემისას. მდგომარეობა ძალიან დაიძაბა და სწორედ მაშინ გაისმა ტრიბუნებიდან გამამხნევებელი: "დი–ნა–მო", "დი–ნა–მო"!

37–ე წუთზე კანთელაძემ ბურთიანად შეასრულა ღრმა რეიდი და მის პარალელურად, ერთდროულად სტარტი აიღო გავაშელმაც. ეს შეტევა დამთავრდა იმით, რომ გავაშელმა თავისუფალ მდგომარეობაში მიიღო ბურთი პარტნიორისაგან, ზუსტად გამოიყენა შესაძლებლობა და მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ანალოგიურ სიტუაციაში გავიდა მესამე გოლიც. "სლავია" შეტევაზე იყო ნახევარმცველები "დინამოს" ნახევარზე ტრიალებდნენ, როცა ლ. ნოდიამ მიიღო გადაცემა, სწრაფად გავიდა მარცხენა ფრთაზე და კარში დაარტყა. ბურთი მოხვდა ერთ–ერთ მცველს და რიკოშეტით ზევიდან გადასცდა ცოლოვს, რომელიც კარიდან წინ იყო გამოსული – 3:0.

85–ე წუთზე "სლავიას" კარში კიდევ ერთი გოლი გავიდა. კომბინაცია გაითამაშეს მაჩაიძემ–გუცაევმა–გ. ნოდიამ, ბურთი კვლავ მაჩაიძეს დაუბრუნდა და მან დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში – 4:0.

უკვე მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას წუთი აკლდა, დინამოელთა კარში დაინიშნა საჯარიმო. გოგიამ ვერ შეძლო გაეჩერებინა ხელში გრიგოროვის მიერ დარტყმული ბურთი და ძელიაზკოვმა, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა სტუმართა შორის, ახლო მანძილიდან გაიტანა ერთადერთი საპასუხო გოლი.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია საპასუხო მატჩზე. ჩვენ ვიცით, რომ "სლავია" განწყობილების გუნდია და ნებისყოფის დიდი სიმტკიცით, მაღალი

ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. თბილისის "დინამოს", მიუხედავად ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, მძიმე ბრძოლა ელის სტუმრად. იმედი გვაქვს, რომ საკუთარ მინდორზე 3 გოლის განსხვავებით მოგებული მატჩი საკმაო გარანტიაა სოფიის "სლავიასთან" საბოლოო წარმატების მისაღწევად.

ლელო 22 სექტემბერი 1973 წ.

ლელო 22.09.1973 წ.